ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისათვის

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის სახეა და 2003 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. 2006 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამავე წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსში და ახლებურად ჩამოყალიბდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე, 143[2]-ე და 143[3]-ე მუხლები.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 15 მარტის N15/03/02 განკარგულებით დამტკიცდა ადამიანის ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საერთაშორისო ვალდებულებების ეფექტური განხორციელების, პროაქტიული გამოძიებების წარმოების, „ტრეფიკიორთა“ მიმართ წარმატებული სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და მსხვერპლთა/დაზარალებულთა უფლებების დაცვის მიზნით გამომძიებლებისა და პროკურორებისათვის შემუშავდა წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები.

სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაში გამოყენებულ იქნა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის“ გაერთიანებული ერების ორგანიზაცის კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“; გაერთიენებული ერების ორგანიზაციის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მოდელური კანონი (UNODC Model Law against Trafficking in Persons); ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კომენტარები.

ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტები

სახელმძღვანელო პრინციპებში განსაკურებული ყურადღება ეთმობა ადამიანით ვაჭრობის სამართლებრივ ასპექტებს - ტრეფიკინგის ნორმის შემადგენლობის განმარტებას, ქმედებების, საშუალებებისა და მიზნის დეფინიციას.

სახელმძღვანელო პრინციპები აგებულია სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლის შენიშვნის ცვლილების გათვალისწინებით. შესაბამისად, სახელმძღვანელო პრინციპების ის ნაწილი, რომელიც ეხება „ექსპლუატაციის“ განმარტებას ამოქმედდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ძალაში შესვლის მომენტიდან.

სახელმძღვანელო პრინციპებში ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანით ვაჭრობის მომიჯნავე მუხლებით წარმოებული საქმეების განხილვისას ტრეფიკინგის ნიშნების გათვალისწინების აუცილებლობას, რომელიც ემსახურება პროაქტიული გამოძიების წარმოებასა და მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესაძლო მსხვერპლთა იდენტიფიცირებას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიების სტანდარტები

სახელმძღვანელო პრინციპებში დეტალურად არის ასახული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტების გამოძიების სტანდარტები. კერძოდ:

- ეფექტური, სრულყოფილი და პროაქტიული გამოძიებების სავალდებულოობა/მიზანშეონილობა;
- გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება;
- პოტენციურ მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაკითხვის მეთოდიკა.
- არასრულწლოვანთა დაკითხვისას/გამოკითხვის თავისებურებები
- სავარაუდო მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების გაცნობა და სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის შეთავაზება.